**მიმართულება: ქალაქ რუსთავის №28 საჯარო სკოლის საზოგადოებრივი მეცნიერებების, ასევე მათემატიკის და ინფორმაციული ტექნოლოგიების კათედრა.**

**პროექტის სახელწოდება: ფინანსური განათლება სკოლაში**

**2023-2024 სასწავლო წელი**

სსიპ ქალაქ რუსთავის №28 სკოლა

***პროექტის მიზანი :***

- მოსწავლეთა ხელშეწყობა ფინანსური განათლების საკითხების სწავლების პროცესში.

***პროექტის იდეა :***

საგანმანათლებლო საიტის - ფინედუს მიერ შემოთავაზებულმა კონკურსმა შთაგვაგონა მე-8 კლასში ფინანსური განათლების ხელშემწყობი პროექტი დაგვეგეგმა და განგვეხორციელებინა. სრულიად ვიზიარებთ ფინედუს კონკურსის იდეასა და მიზანს: „ფინანსური განათლება თანამედროვე სამყაროში საბაზისო ცხოვრებისეულ კომპეტენციად მიიჩნევა. ფინანსურად განათლებულ მომხმარებლებს უკეთ ესმით ფინანსური საკითხებისა და პროდუქტების არსი, აქვთ ცოდნა, უნარი და რწმენა გააკეთონ ინფორმირებული არჩევანი, იღებენ პასუხისმგებლობაზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებს, იციან ვის მიმართონ რჩევისათვის და მოქმედებენ ისე, რომ გაიუმჯობესონ ფინანსური კეთილდღეობის დონე. საუკეთესო პრაქტიკისა და კომპეტენტური საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების შესაბამისად, ფინანსური განათლება რაც შეიძლება ადრე, სასკოლო ასაკიდან უნდა იწყებოდეს. ასეთ შემთხვევებში სწავლება უფრო ეფექტურია და მნიშვნელოვანია ახალგაზრდა თაობის პასუხისმგებლიან მოქალაქეებად ჩამოყალიბებისა და გრძელვადიანი ფინანსური კეთილდღეობისთვის”

| |
|---|
| **პროექტის მონაწილეები:** სამოქალაქო განათლების პედაგოგი - თეა მაღალდაძე, მათემატიკის პედაგოგი - ეკატერინე შერმადინი, მე-8დ კლასის მოსწავლეები |
| **პროექტის ამოცანები:**<br>• მოსწავლეებში გაიზარდოს მოტივაცია ფინანსური განათლების საკითხების შესწავლისადმი.<br>• მოსწავლეებმა გაუზიარონ ერთმანეთ ფინანსური საკითხების შესწავლის შედეგად მიღებული ცოდნა. |

- ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ფინანსური წიგნიერების საკითხების შესასწავლად დამხმარე რესურსის - https://finedu.gov.ge/ -გაცნობა.
- მოსწავლეს განუვითაროს ეროვნული სასწავლო გეგმის სწავლა-სწავლების მიზნების მისაღწევი შემდეგი უნარები და ღირებულებები:

**პროექტის შედეგის შეფასების ინდიკატორები**

მოსწავლეს შეუძლია

- ფინანსური პრობლემის ამოცნობა, აღწერა და გაანალიზება, პრობლემის გადაჭრის გზების ძიება, მათგან ყველაზე ეფექტურის შერჩევა.
- ფინანსურ გარიგებასთან დაკავშირებული შემოთავაზებების კრიტიკულად განხილვა და გაანალიზება, შეკითხვების ჩამოყალიბება და მათზე პასუხის ძიება;
- ჯგუფურ სამუშაოების , დისკუსიის დროს განსხვავებული იდეების, შეხედულებების კონსტრუქციულად განხილვა; საკუთარი ცოდნის გაზიარება პრობლემათა ერთობლივად გადაჭრის, გადაწყვეტილებათა ერთობლივად მიღების მიზნით.
- სწავლა-სწავლების პროცესში მეწარმეობისადმი, საბანკო და საფინანსო საკითხებისადმი ინტერესისა და ცნობისმოყვარეობის გამოვლენა;
- https://finedu.gov.ge/ საიტზე არსებული რესურსებიდან საჭირო ინფორმაციის მოძიება და გამოყენება სასწავლო პროცესში.
- ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებული დავალების ღირებულების განსაზღვრა - აფასებს, თუ რას შესძენს მას პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები, რა პიროვნულ თუ სოციალურ სარგებელს მოუტანს მას ფინანსური განათლება;

**ფინანსური განათლება მოსწავლეებში: მოქალაქეობის და მათემატიკის ინტეგრირებული აქტივობები მე-8 კლასში:**

პასუხისმგებელი პირი: მოქალაქეობის პედაგოგი - თეა მაღალდაძე და მათემატიკის პედაგოგი - ეკატერინე შერმადინი

**სამუშაოს მიზანი: მოსწავლეების მიერ ეროვნული სასწავლო გეგმით (მუხლი 7. ეროვნული სასწავლო გეგმის სწავლა-სწავლების მიზნები) განსაზღვრული გამჭოლი უნარების და ღირებულებების განვითარება.**

**საჭირო რესურსი: https://finedu.gov.ge/**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სკოლა: ქ.რუსთავის სსიპ N28 საჯარო სკოლა<br>საგანი: მოქალაქეობა და მათემატიკა<br>კლასი მე-8<br>დრო 10 სთ. | | | | | |
| თემა | სამიზნე ცნება<br>ქვეცნებები | საკითხი / საკითხთა კლასტერი | ძირითადი კონტექსტ-მაგალითი | კომპლექსური დავალების იდეა | სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის |
| **მოქალაქეობის თემა-** ეკონომიკა.<br><br>**მათემატიკის თემა** - ფარდობა, პროპორცია, პროცენტი | **მოქალაქეობის ცნებები - მდგრადი განვითარება სამოქალაქო უსაფრთხოება.**<br><br>**მათემატიკის ცნებები - მათემატიკური მოდელი** რიცხვის ჩაწერის სხვადასხვა მოდელი (რიცხვების წარმოდგენა წილადის სახით, ათწილადის სახით, სტანდარტული ფორმით).<br>**კანონზომიერება** შესაბამისობის დადგენა ორ რაოდენობას შორის, პროპორციული დამოკიდებულების აღმოჩენა და ამოცანის ამოხსნა პროპორციის მეშვეობით, რთული და მარტივი პროცენტული ცვლილების დადგენა, კანონზომიერების აღმოჩენა.<br>**ლოგიკა**-რეალურ ცხოვრებაში ფინანსებთან დაკავშირებული პრობლემის გადაჭრისას | **მოქალაქეობის საკითხები** - ფული, პირადი ფინანსების მართვა, ფინანსური თაღლითობა და უსაფრთხოება.<br><br>**მათემატიკის საკითხები** - სამომხმარებლო არითმეტიკა: მარტივად და რთულად დარიცხული საპროცენტო განაკვეთი | **მოქალაქეობა** - როგორ داااარსა ილია ჭავჭავაძემ ქართული საადგილმამულო ბანკი.<br><br>**მათემატიკა** - მარტივ და რთულ საპროცენტო დარიცხვასთან დაკავშირებული ამოცანები | **მოქალაქეობა** - პირადი ფინანსების მართვა.<br>**მათემატიკა** - ფინანსური პირამიდა. (ამოცანების პირობა და განხორციელების ეტაპები-დანართი1, შეფასების რუბრიკა-დანართი2) | 1. https://www.civiceducation.ge/ka/lessons/3-33<br>2. ფიშინგი და ქარდინგი - ბმული<br>3. პროცენტი და მასთან დაკავშირებული ამოცანები:<br>ხანის აკადემია https://ka.khanacademy.org/math/cc-sixth-grade-math/cc-6th-ratios-prop-topic/cc-6th-percent-decimal-conversions/a/rewriting-decimals-and-percents-review<br>ck12 https://ck12.edu.ge/maswavleblebi/salome-nasyidashvili/matematika-7/<br>ტელესკოლა (მარტივი და რთული პროცენტი) https://www.youtube.com/watch?v=KHTGF04Nibk<br>ეკონომიკა და ფინანსები https://ka.khanacademy.org/economics-finance-domain/core-finance/interest-tutorial/compound-interest-tutorial/v/introduction-to-compound-interest |

სსიპ "რუსთავის №28

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | ლოგიკური და რაოდენობრივი მსჯელობის გამოყენება; დასაბუთება მათემატიკურ თვისებებზე დაყრდნობით. ვარაუდების გამოთქმა, მსჯელობის ხაზის განვითარება, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზის მოძებნა. მიღებული გადაწყვეტილების ეფექტიანობის დასაბუთება. | | | | 1. ფული და მისი თანამედროვე ფუნქციები https://finedu.gov.ge/ge/blogi-1/fuli-da-misi-tanamedrove-funktsiebi-1<br>2. სესხება https://www.finedu.gov.ge/ge/seskheba-2<br>3. დაზოგვა და დაბანდება https://www.finedu.gov.ge/ge/dazogva-da-dabandeba-1<br>4. ფინანსური თაღლითობა და უსაფრთხოება https://www.finedu.gov.ge/ge/finansuri-taghlitobis-sakheebi-1 |

**დანართი1**

**მოქალაქეობა - საშუალო (4-5) რაოდენობის წევრებისგან შემდგარი ჯგუფებისთვის განკუთვნილი კომპლექსური დავალების პირობა:**

მოამზადეთ პოსტერი „გონიერი მომხმარებელი", რომელიც თქვენს თანატოლებს რჩევებს მისცემს, როგორ მიაღწიონ სასურველ ფინანსურ მიზნებს, როგორ არ გაფლანგონ ფული უხარისხო საქონლის შეძენაში ან არ გახდნენ ცრუ  რეკლამის მსხვერპლი.

**მათემატიკა - მცირე (2-3)  რაოდენობის წევრებისგან შემდგარი ჯგუფებისთვის განკუთვნილი კომპლექსური დავალების პირობა:**
**კომპლექსური დავალების პირობა:**

ნინოს სურს 1000 ლარი შეიტანოს ანაბარზე 5 წლით. ერთი საფინანსო ორგანიზაცია სთავაზობს 4 წლიან, ვადიან დეპოზიტს მარტივი, 15%-იანი, წლიური სარგებლით, მეორე საფინანსო ორგანიზაცია სთავაზობს უვადო დეპოზიტს რთული, ყოველწლიური 12%-იანი სარგებლით, მესამე საფინანსო ორგანიზაცია კი -  4 წლიან ვადიან დეპოზიტს 50%-იანი მარტივი სარგებლით ( ამ ვადის ამოწურვამდე ნინო ვერც თანხას გაიტანს და ვერც სარგებელს).

საფინანსო ოლიმპიადის №28 სკოლა

განიხილეთ სამივე შეთავაზება და დაეხმარეთ ნინოს არჩევანის გაკეთებაში. იმსჯელეთ, გადაწყვეტილების მიღებისას დგას თუ არა ნინო ზარალის რისკის წინაშე და დადებითი პასუხის შემთხვევაში რას ურჩევდით ნინოს რისკის შესამცირებლად/თავიდან ასარიდებლად? ახსენით პასუხი..

თქვენს მიერ გაცემული რეკომენდაცია არის თუ არა დამოკიდებული ანაბარზე შესატანი თანხის რაოდენობაზე? ანაბრის განთავსების ვადაზე? პასუხი ახსენით.

**კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის ეტაპები:**

1. მოქალაქეობის და მათემატიკის კომპლექსური დავალების გაცნობა.
2. ცნებების - ფული, ფინანსური ორგანიზაცია, ფინანსური თაღლითობა, ცრუ რეკლამა, ფინანსური პირამიდა, პროცენტი, მარტივი დარიცხვა, რთული დარიცხვა - გაცნობა ან/და გახსენება, სათანადო ნიმუშების/მაგალითების მოყვანა.
3. https://finedu.gov.ge/ge/blogi-1/fuli-da-misi-tanamedrove-funktsiebi-1 შემეცნებითი რესურსის გაცნობა.
4. დისკუსია მოქალაქეობის გაკვეთილზე: „ფულის არსებობა მიზანშეწონილია მხოლოდ მატერიალური სახით, მხოლოდ ელექტრონული სახით, თუ უმჯობესია ორივეს ერთდროულად არსებობა.
5. პროცენტებთან დაკავშირებული ყოფითი ამოცანების ამოხსნა მათემატიკის გაკვეთილზე. მაგალითად (რესურსი აღებულია საგანმანათლებლო საიტიდან el.ge) :
   “ნიკა შემოდგომის ერთ-ერთი თვის პირველ რიცხვშია დაბადებული. მას დაბადების დღეზე 100 ლარი აჩუქეს. ნიკამ დედას სთხოვა, რომ მისთვის ეს თანხა მომავალი ზაფხულის 1 ივლისამდე შეენახა, რათა დაეხარჯა მეგობრებთან ერთად ლაშქრობის დროს. დედამ შესთავაზა თანხის ბანკის ორი ტიპის ანაბრიდან ერთ-ერთზე შეტანა: I - მარტივი ყოველთვიური n<5% პროცენტიანი ანაბარი; II - რთული ყოველთვიური m<5% პროცენტიანი ანაბარი; ამასთან n>m.
   n და m-ის კონკრეტული მნიშვნელობებისთვის და დაბადების სხვადასხვა თვისთვის დაეხმარე ნიკას უფრო მომგებიანი ანაბრის არჩევაში. გამოთვალე ბანკის დანამატი თეთრამდე სიზუსტით (გამოიყენე კალკულატორი).
   შენ მიერ შექმნილ პრეზენტაციაში ხაზგასმით წარმოაჩინე:
   - მარტივი და რთული პროცენტის გამოთვლა;
   - გამოთვლის რამდენიმე ვარიანტი (მინიმუმ ორი) n და m-ის შერჩეული მონაცემების მიხედვით; დაასაბუთე შენი არჩევანი.
6. მოქალაქეობის კომპლექსური დავალების პრეზენტაცია. შემაჯამებელი დისკუსია თემაზე: ფინანსური საფრთხეები და მათი თავიდან აცილების გზები.
7. ფინანსურ პირამიდასთან დაკავშირებული კომპლექსურ დავალების პრეზენტაცია.
8. შემაჯამებელი დისკუსია თემაზე: ფინანსური საფრთხეები და მათი თავიდან აცილების გზები.

საჯარო სკოლა №28

**მოქალაქეობა - კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმები-** მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- მომხმარებლის უფლებებისა და პასუხისმგებლობების გაანალიზება და დაცვა **(მოქ.საბ.1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13);**
- ფინანსური გადაწყვეტილებების განხილვისას მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინება **(მოქ.საბ.5,6, 7, 8, 10, 11, 13);**

**მათემატიკა - კომპლექსური დავალების შეფასების რუბრიკა:**

| **შეფასების კრიტერიუმები** | **დაბალი შეფასება (დამწყები)** | **საშუალო შეფასება (შესწავლის პროცესში მყოფი)** | **მაღალი შეფასება (ექსპერტი)** |
|---|---|---|---|
| **მარტივი და რთული დარიცხვის შესაბამისი მათემატიკური მოდელის შექმნა და შედეგის დადგენა/ შეფასება.** | **ნამუშევარში ჩანს გამოსახულების შედგენის მცდელობა** | **შედგენილია მხოლოდ მარტივი დარიცხვის საპოვნელი გამოსახულება და გამოანგარიშებულია მისი შედეგი.** | **სწორად აქვს შექმნილი რიცხვითი გამოსახულებები, გამოანგარიშებულია მარტივი და რთული დარიცხვის შედეგები.** |
| **მომხმარებლის კონკრეტული რაოდენობის შემთხვევებში (მაგალითად ფინანსურ პირამიდას ყოველწლიურად ჰყავს 2 მეანაბრე, 4 მეანაბრე და ა.შ..) ფინანსური პირამიდის შემოსავლების და გასავლის ცხრილების შედგენა, პირამიდის ჩამოშლასთან დაკავშირებული დასაბუთებული პროგნოზის გაკეთება .** | **ნამუშევარში ჩანს ერთი კონკრეტული შემთხვევის განხილვის მცდელობა** | **განხილულია რამდენიმე კონკრეტული შემთხვევა, შექმნილია შესაბამისი ცხრილები.** | **განხილულია რამდენიმე კონკრეტული შემთხვევა, შექმნილია შესაბამისი ცხრილები, გაკეთებულია და დასაბუთებულია ჩამოშლასთან დაკავშირებული პროგნოზი** |
| **სამივე ფინანსური ორგანიზაციასთან ფინანსური ურთიერთობების** | **ნამუშევარში ჩანს მარტივი და რთული დარიცხვის** | **ამთლიანებს და ნაწილობრივ სწორად აფასებს განხილულ** | **შეაფასებულია და შედარებულია სამივე** |

ასლი ელექტრონულია №2 სკოლა

| | | | |
|---|---|---|---|
| რისკებს ან/და სარგებლის შეფასება და შედარება, მომხმარებლისთვის ოპტიმალური არჩევანის გაკეთება. | სარგებელის შეფასების მცდელობა. | შემთხვევებს. რომელი შემოთავაზება რა სიტუაციის დროს არის უფრო სასარგებლო და რომელი სარისკო. ნაწილობრივ ცხადად წარმოადგენს მის შეხედულებას ფინანსური საფრთხის თავიდან აცილების შესახებ. | ფინანსური ორგანიზაციის შემოთავაზების რისკები და სარგებელი, სხვადასხვა შემთხვევებისთვის წარმოდგენილია არგუმენტირებული მსჯელობა მომხმარებლისთვის ოპტიმალური არჩევანის შესახებ |

| პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები | |
|---|---|
| **რისკი** | **რისკის შემცირების სტრატეგია** |
| ჩვენს მიერ არჩეულ მე-8 კლასის სახელმძღვანელოს ავტორების მიერ შემოთავაზებული საკითხების სწავლების სარეკომენდაციო საათობრივ განრიგში არ არის გათვალისწინებული პროცენტებთან დაკავშირებული საკითხების გახსენება/შესწავლა, ამიტომ მოსწავლეების წინარე ცოდნის გასააქტიურებლად დათმობილი დრო, შეიძლება არასაკმარისი აღმოჩნდეს. | რიცხვების მიმართულებით კურიკულუმში წარმოდგენილ თითოეულ საკითხს დავუკავშიროთ პროცენტები. მაგალითად რაციონალური რიცხვების განხილვისას მნიშვნელოვნად წამოვწიოთ რიცხვების ჩაწერა პროცენტის სახით და პირიქით, ნაშთებთან დაკავშირებული საკითხზე მუშაობისას ყურადღება გავამახვილოთ, იმაზე, თუ გამყოფის რამდენი პროცენტია გაყოფის შედეგად მიღებული ნაშთი (თან დააკვირდნენ და აღმოაჩინონ, რომ ყოველთვის 100%-ზე ნაკლებს მიიღებენ, ახსნან ეს ფაქტი). ყოველივე ამის შემდეგ კლასის საჭიროებიდან გამომდინარე 3 ან 4 გაკვეთილი დავუთმოთ მარტივ და რთულ პროცენტებთან დაკავშირებულ ამოცანებს (გამოვიყენოთ: math.ge, el.ge, ხანის აკადემია) |
| ფინანსური თაღლითობის თემასთან შეხებისას მოსწავლეთა ასაკობრივი ფსიქო- | სანამ ფინანსური თაღლითობის სახეებს გავაცნობთ, ავუხსნათ, თუ რამდენად საჭიროა, რამდენად მნიშვნელოვანია ფინანსური ორგანიზაციების არსებობა, |

სსიპ ქალაქ ბათუმის №28 საჯარო

| | |
|---|---|
| ემოციური მდგომარეობის არასათანადო გათვალისწინებამ შეიძლება გამოიწვიოს ზედმეტი შიში ან იმედგაცრუება საფინანსო ორგანიზაციების მიმართ ან არაჯანსაღი ინტერესი თაღლითობის თემასთან მიმართებაში | როგორი დიდი სიკეთის მოტანა შეუძლიათ მათ სახელმწიფოსთვის, მოქალაქეებისთვის და ამის შემდეგ კრიტიკულად გავაანალიზოთ საფრთხეები, რისკები და მათი თავიდან აცილების გზები. იმსჯელონ თაღლითობის საპირისპირო შინაარსის ცნებებზე - გულწრფელობა, უანგარობა, კაცთმოყვარეობა, შრომისმოყვარეობა და გამოთქვან თავიანთი აზრი, თუ რამდენად ღირებულია მათთვის ეს თვისებები, როგორ გადაარჩენს და გაზრდის პიროვნებას ამ თვისებების შეძენა, განვითარება. |

| **პროექტის მდგრადობის შეფასება** |
|---|
| ვფიქრობთ პროექტი - „ფინანსური განათლება სკოლებში“ მომავალ სასწავლო წლებშიც უნდა განხორციელდეს. კარგი იქნება თუ პროექტში ჩაერთვებიან სამივე საფეხურის მოსწავლეები და განვიხილავთ ფინედუს მიერ სკოლებისთვის შემოთავაზებულ საკითხებს საფეხურების მიხედვით. |

სსიპ ქალაქ რუსთავის №28 საჯარო